

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში (კვებვერდი 28.12.2017, სარ. კოდი: 190020020.35.112.016336) შეტანილი იქნეს ცვლილება:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17398010	16637234	8387328	8249906	13264040	3940371	9323669
შემოსავლები	16705504	16586700	8387328	8199372	12942501	3940371	9002130
არაფინანსური აქტივების კლება	692506	50534		50534	321539		321539
გადასახდელები	16913227	13044159	4773140	8271019	16782045	7427699	9354346
ხარჯები	8426772	8214290	243950	7970340	9366160	499215	8866945
არაფინანსური აქტივების ზრდა	8486455	4829869	4529190	300679	7415885	6928484	487401



ნაშთის ცვლილება	484783	3593075	3614188	-21113	-3456651	-3487328	30677
-----------------	--------	---------	---------	--------	----------	----------	-------

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16705504	16604214	8387328	8216886	12942501	3940371	9002130
გადასახადები	1553670	1561173		1561173	1628000		1628000
გრანტები	14286399	14085213	8387328	5697885	10398971	3940371	6458600
სხვა შემოსავლები	865435	957828		957828	915530		915530
ხარჯები	8426772	8214290	243950	7970340	9366160	499215	8866945
შრომის ანაზღაურება	1758160	1560951	0	1560951	1900800		1900800
საქონელი და მომსახურება	767683	936920	0	936920	1029120	0	1029120
პროცენტი					77000		77000
სუბსიდიები	4830094	5082740	0	5082740	5390510	0	5390510
გრანტები	535113	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	344348	334641	0	334641	363964	0	363964
სხვა ხარჯები	191374	299038	243950	55088	604766	499215	105551
საოპერაციო სალდო	8278732	8389924	8143378	246546	3576341	3441156	135185
არაფინანსური							



აქტივების ცვლილება	7793949	4779335	4529190	250145	7094346	6928484	165862
ზრდა	8486455	4829869	4529190	300679	7415885	6928484	487401
კლება	692506	50534		50534	321539		321539
მთლიანი სალდო	484783	3610589	3614188	-3599	-3518005	-3487328	-30677
ფინანსური აქტივების ცვლილება	-186021	3641649	3494501	147148	-3518005	-3487328	-30677
ზრდა	34641	3641649	3494501	147148	0		
კლება	220662	0			3518005	3487328	30677
ვალდებულებების ცვლილება					0	0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0
საშინაო					0		
კლება	670804	270434	119687	150747	0	0	0
საშინაო	670804	270434	119687	150747	0	0	0
					0		
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0

;
 გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12942501 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16705504	16586700	8387328	8199372	12942501	3940371	9002130
გადასახადები	1553670	1561173		1561173	1628000	0	1628000



გრანტები	14286399	14067699	8387328	5680371	10398971	3940371	6458600
სხვა შემოსავლები	865435	957828		957828	915530		915530

დ) დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1628000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1553670	1561173	0	1561173	1628000	0	1628000
საშემოსავლო გადასახადი	480296	601545		601545	450000		450000
ქონების გადასახადი	1073374	959628	0	959628	1178000	0	1178000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	400529	408739		408739	400000		400000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	0			278000		278000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	17723	20004		20004	10000		10000
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	130024	121027		121027	50000		50000
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	525098	409858		409858	440000		440000
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0			0		
სხვა გადასახადები	0	0			0		

ე) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10398971 ლარის ოდენობით.



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
გრანტები	14286399	14085213	10398971
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		17514	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	14286399	14067699	10398971
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5516100	5574200	6458600
გათანაბრებითი ტრანსფერი	5296100	5354200	6238600
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220000	220000	220000
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8770299	8387328	3940371
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3847552	3510253	3760371
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	806257		
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	250000,0	140000	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	3866490	4737075	180000
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ		106171	

ვ) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 289160 ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	2016 წლის ფაქტი	მათ შორის			სულ	მათ შორის	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	8426772	8214290	243950	7970340	9289160	499215	8789945
შრომის ანაზღაურება	1758160	1560951	0	1560951	1900800	0	1900800
საქონელი და მომსახურება	767683	936920	0	936920	1029120	0	1029120
სუბსიდიები	4830094	5082740	0	5082740	5390510	0	5390510
გრანტები	535113	0	0	0	0	0	0



სოციალური უზრუნველყოფა	344348	334641	0	334641	363964	0	363964
სხვა ხარჯები	191374	299038	243950	55088	604766	499215	105551

;
 ზ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 495967 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7415885 ლარის ოდენობით

კოდი დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3975	21721	24000
02 00 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0
03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7931947	3990385	6342717
04 00 განათლება	482798	619800	66369
05 00 კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	67535	119655	903964
06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	200	78308	78835
სულ ჯამი	8486455	4829869	7415885

ბ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 301539 ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	692506	50534	321539
ძირითადი აქტივები	659660	30768	20000
არაწარმოებული აქტივები	32846	19766	301539
მიწა	32846	19766	301539

თ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით

ფუნქციონალური დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
--------------------------	-----------------	-----------------	-----------------



კოდი				
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2227666	2248666	2599000
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2227666	2248666	2599000
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2227666	2248666	2569000
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	30000
7.2	თავდაცვა	108737	108393	125000
7.22	სამოქალაქო თავდაცვა	108737	108393	125000
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5580121	3352592	4577602
7.42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	877469	233865	146000
7.421	სოფლის მეურნეობა	877469	233865	146000
7.45	ტრანსპორტი	4702652	3118727	4431602
7.451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4702652	3118727	4431602
7.5	გარემოს დაცვა	548123	647979	1169441
7.51	ნარჩენების შეგროვება-გადამუშავება და განადგურება	548123	647979	1169441
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3344201	1828307	2543760
7.61	ბინათმშენებლობა	174372	368736	579178
7.63	წყალმომარაგება	1163	5660	428438
7.64	გარე განათება	555932	541178	198495
7.65	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2612734	912733	1337649
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	130384	201197	203835
7.74	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130384	201197	203835
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3022918	1911641	2834874
7.81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1906800	787257	875000
7.82	მომსახურება კულტურის სფეროში	1061118	1084384	1919874
7.84	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	55000	40000	40000
7.9	განათლება	2172598	2549846	2216369
7.91	სკოლამდელი აღზრდა	2172598	2549846	2216369
710	სოციალური დაცვა	449283	465972	512164
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	600	200	1000
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	33400	32575	32800



7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	212960	178350	170000
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	15000	20000	30000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	187323	234847	278364
	სულ	17584031	13314593	16782045

;

კ) დადგენილების მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და თავდაცვა.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მინუციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეესაბამებოდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროგრამის აღწერა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ადგილობრივი მნიშვნელობის დაახლოებით 572,6 კმ. გზა. საიდანაც მოხლოდ 15 პროცენტამდე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო დანარჩენი ექვემდებარება შემდგომ რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთ გზებზე გადაადგილებისას მოსახლეობას უწევს არაკოფორტულად და ხანგრძლივი დროით მგზავრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე იგეგმება ადგილობრივი გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და არსებულის მოვლა შენახვა. ასევე იგეგმება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურეყვეთის, ლესის, აცანა-აკეთის, ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული ხიდების აღდგენის სამუშაოები სულ 59296 ლარის ოდენობით, რომელიც დაფინანსდება 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 46539 ლარი და საკუთარი შემოსავლებით 12757 ლარი. ქლაქის, მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზაზე რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით 2405054 ლარი და საკუთარი შემოსავლებით 36552 ლარი. ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 1870700 ლარი.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვისების გამართული ფუნქციონირება და ამ სერვისებით მოსახლეობის მაქსიმალური მოცვა.

პროგრამის აღწერა: პროგრამა მოიცავს წყლის სისტემების, გარე-განათების და დასუფთავების



სერვისების მიწოდებას. არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში სრულად ვერ ხდება აღნიშნული სერვისების ხარისხიანი მიწოდება მოსახლეობისათვის, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული მიმართულებებით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

1.2.1 სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: მდინარის და გზების ნაპირის დამცავი ნაგებობების მოწყობა

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზებისა და მდინარეების ნაპირების დამცავი ნაგებობების 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 1071045 ლარი.

1.2.2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა. ასევე განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჯურუყვეთის, ლესის და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით 384100 ლარი და საკუთარი შემოსავლებით 20216 ლარი. ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული წყალმომარაგების კაპიტალური რემონტი №2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხით 12122 ლარი.

1.2.3. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ლანჩხუთი-ტექსერვისი“.

1.2.3.1. ა(ა)იპ „ლანჩხუთი ტექსერვისი" (433642490) (პროგრამული კოდი 03 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

1.2.3. 2. გარე განათების ელექტროენერჯის ღირებულება (პროგრამული კოდი 03 02 05 02)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში.

1.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის მიზანი: სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. დასუფთავების მომსახურებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ლანჩხუთი სერვისი“.



1.2.4.1. ა(ა)იპ „ლანჩხუთი სერვისი“ (433642677) (პროგრამული კოდი 03 02 06 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვა მაწანწალა ძაღლებისაგან.

1.2.4.2 ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი (433649322) (პროგრამული კოდი 03 02 06 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვა მაწანწალა ძაღლებისაგან. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციის მოვლა პატრონობის ხარჯები.

1.2.4.3. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიით დაზიანებული ფიზიკური პირების საცხოვრებელი სახლების სახურავის აღდგენისათვის საჭირო მასალების შეძენა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეცვლა, რომელიც დაფინანსდება 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხით. ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის, ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის და საფეხბურთო ბაზის ოთახების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის შეკეთების სამუშაოები საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით 122943 ლარი და საკუთარი შემოსავლებით 6471 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №957 განკარგულებით 180000 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და განხორციელებული კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარისხიანობის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

1.3.1 ნაგავდამჭერების მოწყობა მდინარეზე (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავდამჭერების მოწყობა მდინარე სუფსაზე, რომელიც დაფინანსდება 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

1.3.2 საპროექტო დოკუმენტაციის, საექსპერტო მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის დაფინანსება, რომელიც დაფინანსდება 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

1.3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასამონტაჟებლად



ზოგადი ხედვის კამერების და კვების ბლოკების (შესაბამისი აღჭურვილობით და თანმდევი მომსახურებით) შესყიდვა.

1.4. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, საგარეო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი“.

1.4.1 ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრი ს/კ 233733984 (პროგრამული კოდი 03 05 02)

ქვეპროგრამა ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან დამმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობის გაღრმავების ხელშეწყობას.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას სოფლის მეურნეობაში.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას.

მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას.

აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობას.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამა

(პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც ბაღების გახსნისთვის შესაბამისი კონტინგენტი არის და უზრუნველყოფილ იქნეს მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1250-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა, ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

2.2 განათლების ობიექტების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული საბავშვო ბაღის სახურავის აღდგენა და ფასადის ნაწილობრივი შეფუთვის სამუშაოები, რომელიც დაფინანსდება 2017 წლის 27 დეკემბრის №2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით.



3. კულტურა, რელიგია , ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის ასპარეზობებში. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ასევე განხორციელდება სტადიონის მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება.

3.1.1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი ს/კ 433642178

(პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. სკოლა აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, კარატე დოს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, კრივის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 335 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი.

3.1.2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-

საფეხბურთო სკოლა ს/კ 433645004 (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო -საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად.

3.1.3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი ს/კ 433649359 (პროგრამული კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატურ სპორტული გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დამკვიდრება. სკოლა აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, კარატე დოს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, კრივის, ფეხბურთის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 335 სპორტსმენი.



ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბება პროფესიონალ ფეხბურთელებად, ასევე გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბება პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი.

3.1.4. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ს/კ 433642203 (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად.

3.1.5 შპს „ლანჩხუთი“ ს/კ 233645419 (პროგრამული კოდი 05 01 08)

ქვეპროგრამით განხორციელდება საფეხბურთო სტადიონის მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება.

3.1.6. შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი ს/კ 433649493 (პროგრამული კოდი 05 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბება პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლას და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ქართული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მასალების მოპოვება, ქსელი აერთიანებს 14 ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობას; წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიექტების მოძიებას და პოპულარიზაციას, სამუზეუმო საქმიანობისთვის ხელშეწყობას. ქსელი აერთიანებს 3 მუზეუმს.

ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, მათ შორის:

სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, სადაც განათლებას იღებს 230-ზე მეტი ბავშვი, სწავლის გადასახადი შეადგენს 15 ლარს, საკუთარი სახსრებით ფინანსდება ნაწილობრივ ხელფასი და ხარჯები მთლიანად, სუფსიდიით ხდება ხელფასის დაფინანსება. სკოლის მიზანია მიაღებინოს მოსწავლეებს მუსიკალური განათლება, წარმატებული მოსწავლეების გამოსავლენად ჩაატაროს საანგარიშო კონცერტები. სამხატვრო სკოლის დაფინანსებას სადაც განათლებას იღებს 100-მდე ბავშვი, ხდება ხელფასის და სხვა



მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას, წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდობის წახალისებას სხვადასხვა სახის პრიზებით და საჩუქრებით. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურულ-სპორტული ღონისძიებები: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებები; სამემსრულებლო, ვიზუალური, თანამედროვე ხელოვნების, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ფესტივალები და კონცერტები; სხვადასხვა ქვეყნების ქალაქების კულტურულ და შემოქმედებით კოლექტივებთან და ინტელიგენციასთან კონტაქტების დამყარება და არსებული ურთიერთობების გაღრმავება; გამოჩენილი ადამიანების და საზოგადო მოღვაწეების საიუბილეო ღონისძიებების და შემოქმედებითი სადამოები; მამტაბური სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება; კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები. კულტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის კუთხით განხორციელდება ჭადრაკის სახლის რეაბილიტაცია.

3.2.1 ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ს/კ 233731478 (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალური კულტურის ცენტრი, რომელიც ეწევა მოსახლეობის კულტურული საგანმანათლებლო და შემეცნებით მოღვაწეობას; ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ხელშეწყობას; ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაციას; ფოლკლორული ანსამბლების ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების საქმიანობის ხელშეწყობას.

